ახალი ხარაგაული

392 (23) 21 დეკემბერი, 2018 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ საკრებულოს მაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა

17 დეკემბერს გამართულ ბიუროს სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ გაწეული მუშაობის შესახებ საკრებულოს ანგარიში წარუდგინა. მომხსენებელმა იმ ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, კულტურულ და სამოქალაქო პროექტების შესახებ ისაუბრა, რომლებიც ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტში განხორციელდა. ამასთან, განიხილა მიმდინარე სამუშაოები და 2019 წელს დაგეგმილი პროექტებიც დააანონსა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დეპუტატებს მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები გაეცათ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი დაინტერესდა, რატომ ვერ მოხერხდა ამ დრომდე 2017 წლის ბოლოს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების ათვისება. მისივე თქმით, მოსახლეობა დღემდე ელოდება სოფელ ბაზალეთში დევდარიანებისა და ქვედა ნანიტაშვილების საუბნო გზების შეკეთებას. ჭიპაშვილი ა(ა) იპ-ების რეორგანიზაციის საკითხსაც შეეხო და იკითხა, თუ რა თანხები დაიზოგა და კონკრეტულად რა მიმართულებას მოხმარდა. ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ყურადღება რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებულ პროექტებზეც გაამახვილა და განმარტა, რომ შესრულების მაჩვენებელი ძალიან დაბალია.

ნიკოლოზ თოფურიძის განცხადებით, სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან განსახორციელებელ პროექტებზე ტენდერში არაკეთილსინდისიერმა მეწარმემ გაიმარჯვა და ამ დრომდე ვერ მოხერხდა ზოგიერთი სამუშაოს შესრულება. მისივე განმარტებით, ბაზალეთში შესასრულებელ სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადებულია და გზების შეკეთება მალე დაიწყება. თოფურიძის თქმით, პროექტები, რომელთა განხორციელებაც მიმდინარე წელს ვერ მოხერხდება, აუცილებლად 2019 წელს დასრულდება. ხარაგაულის მერი შესყიდვების სააგენტოში ცვლილების განხორციელების აუცილებლობაზე საუბრობს. მისი თქმით, მოსახლეობაში არის აზრი, თითქოსდა პროექტების დაუსრულებლობა მერიაში დასაქმებულ პირთა დაუდევრობის ბრალია, რაც სიცრუეა და მსგავს ფაქტებს ადგილი რომ არ ჰქონდეს, აუცილებელია შესყიდვების სააგენტოში მოხდეს რეგულაციების შეცვლა. რაც შეეხება ა(ა) იპ-ების რეორგანიზაციიდან დაზოგილ თანხებს, ნიკოლოზ თოფურიძის განმარტებით, ამ რესურსით კინოთეატრში დაზიანებული სახურავი შეკეთდა, ასევე მოხდა ა(ა)იპ-ებში რიგი პრობლემების აღმოფხვრა. ხარაგაულის მერმა მუნიციპალური განვითარების ფონდში წარდგენილ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგეგმება ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი გზისა და კიცხის სკოლის რეაბილიტაცია, ვერტყვიჭალასა და საღანძილეში საბავშო ბაღების მშენებლობა და ასევე ნადაბურის ხიდის შეკეთება. „ღორეშა - ბაზალეთის დამაკავშირებელი გზა ამ დრომდე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ პროექტი იყო უხარისხოდ შედგენილი და ამის გამო ტენდერში გამარჯვებულმა ორივე კომპანიამ სამუშაოები მიატოვა. აქედან გამომდინარე, მოვითხოვეთ პროექტის კორექტირება და, როგორც ჩემთვის ცნობილია, ახალი წლის დასაწყისში სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდება," -განაცხადა ხარაგაულის მერმა.

ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისთვის" თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, ღია ესტრადაზე ისაუბრა და დაინტერესდა, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამ დრომდე პასუხისმგებელი პირების დასჯა.

ნიკოლოზ თოფურიძის თქმით, ამფითეატრთან დაკავშირებით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დაიდო დასკვნა, რომ შენობა ექსპლუატაციისთვის უვარგისია და ამიტომ უნდა მოხდეს ობიექტის დემონტაჟი და ახლის აშენება.

დეპუტატებმა სოფლებში წყლის პრობლემებზეც გაამახვილეს ყურადღება და იკითხეს თუ რა გეგმა აქვს მერიას ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, 2019 წელი მერიამ წყლის წლად გამოაცხადა, ამისთვის ბიუჯეტში თანხებიც განისაზღვრა, მოლაპარაკებები დაწყებულია ასევე არტეზიული ჭების მოწყობასთან დაკავშირებით. მისივე განცხადებით, მოხდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის აღდგენაც, რაც ძალიან ბევრ სიკეთეს შეჰმატებს სოფლებს.

ფრაქცია „ქართული-ოცნება მრეწველების" თავმჯდომარემ იუზა (ვალოდა) კელენჯერიძემ „საპატიო ხარაგაულელის" სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ისაუბრა. მისივე განცხადებით, საპატიო ხარაგაულელის წოდება 2014-2015 წწ. ცამეტ პიროვნებას მიენიჭა და კარგი იქნება, თუ ეს ტრადიცია აღდგება.

ხარაგაულის მერმა ბატონ იუზა (ვალოდა) კელენჯერიძეს მხარდაჭერა გამოუცხადა და დასძინა, რომ მომავალ წელს ეს პროექტი აუცილებლად აღდგება.

მერის ანგარიშს დეპუტატები დეტალურად 2019 წლის 8 იანვარს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განიხილავენ.

2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა

14 დეკემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი 7 625 800 ლარით განისაზღვრა, რაც მიმდინარე წელთან შედარებით 736 400 ლარით მეტია. დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ახალი წლის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა სრულად პროგრამული არ არის.

კომისიის სახელით 2019 წლის ბიუჯეტი დადებითად შეაფასა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა და იმ შენიშვნებზე ისაუბრა, რომლებიც მერიამ გაითვალისწინა.

,,დადებითი ფაქტია, რომ მრავალბინიანი სახლების გადახურვისათვის გამოიყო 100 000 ლარი. 2019 წლის ბიუჯეტში ასახულია ასევე ახალგაზრდული ბანაკის დაფინანსება, რომელიც მიმდინარე წელს ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური მიმართულებით თანხები გაიზარდა. გაიზარდა ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარჯიც. კვლავ გაგრძელდება უსინათლოთა ბრაილის შრიფტით სწავლება. მოხდება პირველი საბავშვო ბაღის გაზიფიცირება, რომელიც წლებია, პრობლემაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ სოლიდური თანხებია გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით. სასმელი წყლის მოსაწესრიგებლად 80 000 ლარი დაიხარჯება, ხიდ-ბოგირების შეკეთებისათვის - 40000 ლარი. ბიუჯეტი ძირითადად ორიენტირებულია სოციალურ ინფრასტრუქტურულ, განათლებისა და კულტურის სფეროებზე. ვფიქრობ, სხვა მიმართულებებიც უნდა იყოს ჩვენთვის პრიორიტეტი. აუცილებელია ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას სოფლის მეურნეობის კუთხით. რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზეც გვქონდა მოთხოვნა, მაგრამ ამ ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება ვერ მოხერხდა. როგორც მერიიდან განგვიმარტეს, ცენტრალური ხელისუფლება სოფლის მეურნეობის მხრივ არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებს და, აქედან გამომდინარე, თუკი იქნება მოქალაქეებიდან კონკრეტული მოთხოვნები, 10 000 ლარი, რომელიც ამ სფეროშია გათვალისწინებული, კვლავ გაიზრდება." - განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარე გივი თავზარაშვილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ბიუჯეტის 2% სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დაიხარჯოს. მან აღნიშნულ მუხლში 10 ათასი ლარის განსაზღვრა არასაკმარისად მიიჩნია და პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა. მისივე განცხადებით, ვიდრე კორექტირება არ მოხდება და ამ მუხლში თანხები არ გაიზრდება, ის ბიუჯეტს მხარს ვერ დაუჭერს.

ფრაქციის სახელით, 2019 წლის ბიუჯეტს მხარდაჭერა გამოუცხადა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, პაატა გოგოლაძემ. მისივე თქმით, ასეთი ბიუჯეტი ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტს არ ჰქონია, მაგრამ ბატონი პაატაც მიიჩნევს, რომ ვინაიდან ხარაგაული აგრარული მუნიციპალიტეტია, სოფლის მეურნეობის განვითარებას მეტი ხელშეწყობა სჭირდება.

სხდომას ესწრებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, რომელმაც განმარტა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სახელმწიფო ეფექტურ პროექტებს ახორციელებს, რომლითაც ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია, ისარგებლოს. მერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს, ამ კუთხით კონკრეტული პროგრამის დაფინანსების მიზნით, მერიისთვის არავის მოუმართავს და თუ ასეთს ექნება ადგილი, თანხები აუცილებლად გაიზრდება.

როგორც ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისთვის" თავმჯდომარე ინგა მაღრაძე აცხადებს, მომავალი წლის ბიუჯეტი მცირედით გაუმჯობესებულია და 12 თვეზეა გაწერილი. თუმცა მაღრაძეს აქვს რიგი შენიშვნები. მისი თქმით, ბიუჯეტი პროგრამული არაა და ამ კუთხით კვალიფიკაციის ამაღლება აუცილებელია. ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისთვის" თავმჯდომარეს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დაბის საბავშვო ბაღში თანამშრომელთა ხელფასების 6%-იანი ზრდა, იგი მიიჩნევს, რომ თანაბრობის პრინციპი დაირღვევა და უპრიანი იქნება, თუკი ამ თანხებით იქ არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაგალითად მოხდება სათამაშოების განახლება და მარელისში მზაობის ჯგუფის პირობების შეცვლა. ინგა მაღრაძე ასევე მართებულად მიიჩნევს, ბეჭდვითი მომსახურებისა და ა(ა) იპ ,,სათნოების სახლის" მომსახურების ტენდერზე გატანას. მისივე განმარტებით, ასეთ შემთხვევაში თანხები დაიზოგება და ხარისხი გაუმჯობესდება.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტს მხარი არ დაუჭირა „პატრიოტთა ალიანსის" წარმომადგენელმა თემურ ფცქიალაძემ. მიზეზად კი ის ფაქტი დაასახელა, რომ სოციალური მიმართულებით გათვალისწინებული უნდა იყოს 800 000 ლარი. ,,ცენტრალური ხელისუფლებიდან დაფინანსების ეს ფორმა უკეთესია, ვიდრე იყო, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტში ხარაგაულიდან დამატებითი ღირებულების გადასახადიდან, დაახლოებით, ნახევარი მილიარდი ლარი შედის, ჩვენ კი 5 მილიონს გვაძლევენ. ამიტომ მერიამ და საკრებულომ ამ საკითხზე უნდა იმუშაოს და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი კიდევ უნდა გაიზარდოს." - აღნიშნა თემურ ფცქიალაძემ.

ვიდრე 2019 წლის ბიუჯეტს დეპუტატები კენჭს უყრიდნენ, ვარლამ ჭიპაშვილმა მერს კონკრეტული კითხვით მიმართა, თუ რას ფიქრობს ის ა(ა)იპ „სათნოების სახლისა" და ბეჭდვითი მომსახურების ტენდერის გზით შესყიდვაზე.

როგორც ნიკოლოზ თოფურიძემ განაცხადა, ეს მიმართულებები სიჩქარეს არ საჭიროებს, რადგან მეზობელი მუნიციპალიტეტების მაგალითზე მომსახურებების გასხვისებამ შედეგი ვერ გამოიღო და, პირიქით, პრობლემები შეიქმნა. ხარაგაულის მერს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია ისეთი ბეჭდური მედიის არსებობა, რომელიც მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს და მოსახლეობაში უფასოდ ვრცელდება.

საბოლოოდ დეპუტატთა უმრავლესობამ 2019 წლის ბიუჯეტს მხარი დაუჭირა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ზრუნვა ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტია

წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები: გოლათუბანი, წიფა, ფონა და გუდათუბანი მაღალმთიანი სოფლების სტატუსს ატარებს. აქ მცხოვრები მოქალაქენი - მრავალშვილიანი დედა, ექიმი, პენსიონერი და მეწარმე - სხვადასხვა შეღავათით სარგებლობენ. ეს შეღავათები უმნიშვნელოვანესია ადგილზე მოსახლეობის დამაგრებისათვის. პროგრამის წარმატებით განხორციელებამ წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში არაერთი ოჯახი დააბრუნა სოფლად. გარდა ამ შეღავათებისა, ინტენსიურად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით ელოდება ძირულა-ფონა -ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაციას, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სოფლის განვითარებას.

გასული წლის ნოემბრიდან წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოვალეობას შორენა ჭყოიძე ასრულებს, რომელიც თავად გვესაუბრება სოფლებში არსებულ პრობლემებსა და ბოლო პერიოდში შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

-ერთი წელია, რაც წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოვალეობას ვასრულებ. 2012 წლიდან ამ ადმინისტრაციულ ერთეულს ქალბატონი მაია გაჩეჩილაძე ხელმძღვანელობდა და სწორედ ამ პერიოდში გაკეთდა ბევრი სასიკეთო საქმე და გრძელდება დღესაც. ბეტონის საფარი დაიგო სოფლების ცენტრალურ გზებზე, რომლებიც იმდენად იყო დაზიანებული, რომ მოქალაქეებს გადაადგილება უჭირდათ. პრობლემაა მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება. წყლის მილები და სათავე -ნაგებობები გაკეთდა სოფელ გოლათუბანში, მაგრამ არიან ოჯახები, სადაც მილების შეყვანის პრობლემაა და მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს. სასმელი წყლის სისტემა მოეწყო ფონაში, თუმცა ეს საკმარისი ნამდვილად არაა ამ თემის მოსახლეობისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლება ინფორმირებულია და მივიღეთ დაპირება, რომ უახლოეს პერიოდში წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის პრობლება მოწესრიგდება.

აღსანიშნავია, რომ წიფასა და გოლათუბანში აშენდა სარიტუალო დარბაზები, ასევე -სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს. ადგილობრივი ხელისუფლება მუდმივად ეხმარება დაზარალებულ მოქალაქეებს. სტიქიის დროს მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად ეძლევათ ფულადი დახმარება, ხდება საცხოვრებელი სახლების გადახურვა. სოფელ ფონაში მცხოვრებ მარტოხელა პიროვნებას, რომელსაც არ ჰქონდა სახლი, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ბინა აუშენეს. გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ზრუნვა ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტია. რა თქმა უნდა, ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობისათვის, მაგრამ გასაკეთებელი მაინც მრავლადაა. ჩვენი მთავარი მიზანიც ესაა - რაც შეიძლება ნაკლები პრობლემა ჰქონდეს მოსახლეობას. ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რომ ადამიანებს უკეთეს პირობებში უწევდეთ ცხოვრება.

- რა არის უმთავრესი პრობლემა, რაც წიფაში მოსახლეობას აწუხებს?

- გამომდინარე იქიდან, რომ აქ სოფლები მაღალმთიანის სტატუსს ატარებს და ბევრი შეღავათითაც სარგებლობს მოსახლეობა, უმთავრეს პრობლემად მაინც უმუშევრობა რჩება. სოციალური დახმარებების მოხსნის გამო მოქალაქეები განაწყენებული არიან, თუმცა ვცდილობთ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს შეძლებისდაგვარად გავუწიოთ დახმარება. ცენტრალური ხელისუფლება სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ძალიან ქმედით ნაბიჯებს დგამს. ამ მიმართულებით ბევრი სიახლეა. პირველი იანვრიდან სოციალურად დაუცველი ოჯახები, სადაც 16 წლამდე ბავშვები ცხოვრობენ, 50 -ლარიან დანამატს მიიღებენ. ეს ინიციატივაც გააუმჯობესებს მათს მდგომარეობას.

- რა სიახლეებია დაგეგმილი სამომავლოდ წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში და რა სიკეთეებს ჰპირდებით მოსახლეობას?

- მომავალ წელს წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში სხვერის, ტუბიკისა და სადგურის უბნების გზის რეაბილიტაციაა დაგეგმილი. ბეტონის საფარი დაიგება გზის 1,714 მ სიგრძის მონაკვეთზე. იგეგმება წყლის სისტემის მოწესრიგება და სოფლებში დაზიანებული ხიდ-ბოგირების შეკეთება. უკვე გამოცხადდა ტენდერი. დიდი სიხარულით ველოდებით ძირულა-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაციას, რაც ბევრ სიკეთეს შემოიტანს ჩვენს სოფლებში.

ჩვენ მუდმივად ვხვდებით მოსახლეობას და ვუსმენთ მათ. პრიორიტეტებს სწორედ ამის მიხედვით ვადგენთ. მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ მოქალაქეს, ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც დიდი სიყვარულით მიმიღეს და გვერდით დამიდგნენ. საკმაოდ რთულია ასეთი თემის ხელმძღვანელობა, მაგრამ მათი სიყვარული მაძლევს ძალას, ვიბრძოლო უკეთესი ხვალინდელი დღისათვის.

ლელა გუგულაშვილი

სტიქიის საერიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ხარაგაულს 60 ათასი ლარი გამოეყო

17 დეკემბერს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მორიგი საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხის შესახებ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა ისაუბრა. როგორც მომხსენებელი განმარტავს მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 60 000 ლარი გამოუყო.

გელაშვილის ინფორმაციით, 2018 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 13 643,5 ათასი ლარით განისაზღვრა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 6364,2 ათასი ლარით, ხოლო გადასახადების ნაწილში 18362,7 ათასი ლარით. რაც შეეხება სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხარჯებს - 125,2 ათას ლარს შეადგენს.

ამავე ბიუროს სხდომაზე მერიამ მოსაწონებლად 2019 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტთა ნუსხა წარმოადგინა. ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თემური თაბუკაშვილის, ინფორმაციით, მომავალ წელს მერია 36 პროექტის განხორციელებას აპირებს. თუ რომელი პროექტების დაფინანსება იგეგმება, ამის შესახებ ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება.

ხარაგაულის სოფლებში წყლის სისტემის მოწყობისათვის 80 000 ლარი დაიხარჯება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში, მდინარაძეების უბანში, სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებითა და მოსახლეობის ჩართულობით მილების გაყვანის შემდეგ სასმელი წყალი 29 ოჯახს მიეწოდება. გარდა ამისა, წყლის მიწოდება მოხდა გიორგაძეების უბანში და კიცხის საბავშვო ბაღში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ თოფურიძე, შესრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და აღნიშნა, რომ ეს პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბავშვო ბაღისთვის. მისივე ინფორმაციით, სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციისთვის რეზერვუარი და წყლის მილები ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეიძინეს. აღსანიშნავია, რომ 2019 წელი მერიამ წყლის წლად გამოაცხადა და პროექტი „წყალი ყველა

სოფელს“ უკვე აქტიურ ფაზაშია. ნიკოლოზ თოფურიძის განცხადებით, სასმელი წყლის პრობლემა ყველა სოფელში უნდა მოგვარდეს. აქვე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ბიუჯეტში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემის მოწყობისათვის 80 000 ლარია გათვალისწინებული.

საკრებულოს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

14 დეკემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი მათ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. როგორც მომხსენებელმა განმარტა, 2018 წელს აღებული საბიუჯეტო ვალდებულებების შესასრულებლად მუნიციპალიტეტს დამატებით 145,6 ათასი ლარი ესაჭიროება. კერძოდ, 35,6 ათასი ლარი მიმართა საკრებულოში დეკემბრის თვის შრომის ანაზღაურებისათვის; 80,0 ათასი ლარი - ა(ა)იპ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დეკემბრის თვის ხელფასებისა და სხვა გადაუდებელი ხარჯებისათვის. 30,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო, ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარებისათვის. ვლადიმერ გელაშვილის თქმით, დამატებითი ხარჯების დაფარვის წყაროდ გამოყენებულ იქნა ჯარიმებიდან მიღებული დამატებითი შემოსავლები -69,6 ათასი ლარი, ასევე 2018 წლის პირველი იანვრისათვის არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 20,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდიდან 25,0 ათასი ლარი, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯებიდან 6,0 ათასი ლარი, სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამიდან 10,0 ათასი ლარი, სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარის შეძენის პროგრამიდან 10,0 ათასი ლარი და ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამიდან 5,0 ათასი ლარი.

გარდა ამისა, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში განხორციელდა ცვლილება და ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯებში აუთვისებელი 1,5 ათასი ლარი გადატანილ იქნა თავდაცვის ხარჯებში; სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯებიდან 5,0 ათასი ლარი მიიმართა ახალგაზრდულ პროგრამებში საახალწლო ღონისძიებებისათვის. წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს

14 დეკემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის, მანანა ბარბაქაძის, მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. ქალბატონმა მანანამ ვრცლად ისაუბრა იმ სიახლეებისა და აქტივობების შესახებ, რომლებიც მისი მმართველობის პერიოდში განხორციელდა. დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ძალიან აქტიური ქალბატონია და მისი მუშაობა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა. გთავაზობთ ანგარიშის სრულ ვერსიას.

2017 წლის 20 ნოემბრიდან, ანუ ახალი მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობიდან, დღემდე, ჩატარდა საკრებულოს 20 სხდომა. სხდომებზე მიღებულ იქნა 84 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება, ხოლო ჩემ მიერ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის, გამოცემულ იქნა 208 ბრძანება. ხსენებული განკარგულებისა და დადგენილებების განხილვაში, რომლებიც მიღებულია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და თვითმართველობის განხორციელების მთელ რიგ საკითხებზე, უშუალოდ მაქვს მონაწილეობა მიღებული და ყველა ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტი სრულად ასახავს და შეესაბამება მოსახლეობის ინტერესებს. ყოველთვის წინააღმდეგი ვარ ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივი ხარჯების გაწევისა. პირადად ჩემი ინიციატივით, შემცირდა საკრებულოს თავმჯდომარის წარმომადგენლობითი ხარჯები, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საკრებულოს რემონტისა და საოფისე ხარჯები. დღეის მდგომარეობით, წარმომადგენლობითი ხარჯიდან, რომელიც შეადგენს 6000 ლარს, გახარჯულია მხოლოდ 1500 ლარი. გარდა საკრებულოსა და ბიუროს სხდომების დაგეგმვისა და წარმართვისა, ხელმძღვანელობას ვუწევ საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობას. საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებას უწევს საკრებულოს აპარატი, სადაც 6 შტატით და 5 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პერსონალია. საკრებულოში შემოსული ყველა წერილობითი დოკუმენტი, მათ შორის, მოქალაქეთა განცხადებები, მომართვები მუნიციპალიტეტის მერიიდან და სხვადასხვა ორგანიზაციიდან, რეაგირებულია კანონით დადგენილ ვადებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოქალაქეთა განცხადებებში დასმული საკითხების შესწავლას. საკრებულოს აპარატი ასევე განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება დოკუმენტაციის აღრიცხვის, რეგისტრაციისა და ადრესატამდე მიტანის საქმეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საკრებულოდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციები გაცემულია კანონით დადგენილ ვადაში და მათს გაცემაზე უარის თქმის ფაქტი დღემდე არ დაფიქსირებულა. მე ყოველდღიურ რეჟიმში მზად ვარ, მივიღო მოქალაქეები, ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით პერიოდულად ვხვდები ამომრჩევლებს და ვეცნობი მათ პრობლემებსა და საჭიროებებს.

ასევე მინდა, შევეხო ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის საკითხს. ყოველთვის მხარს ვუჭერ და მივესალმები, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, რაც შეიძლება, მეტმა მოქალაქემ მიიღოს მონაწილეობა, რაც თვითმმართველობის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. მოსახლეობისაგან წამოსული ინტერესების მხარდაჭერის მკაფიო მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ გასული წლის მაისის თვეში (მაშინაც საკრებულოს თავმჯდომარე გახლდით), სოფელ ღორეშის დასახლების საერთო კრების გადაწყვეტილებით, მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართა პეტიციით, რომელიც შეეხებოდა სოფელში, ე.წ კვადოურას უბნის, სასაფლაომდე მისასვლელი 150მ. მონაკვეთის გზის რეაბილიტაციისა და სასაფლაოს შემოღობვის საკითხის განხილვის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნა ჩემი და ჩვენი კოლეგების ძალისხმევით დადებითად იქნა გადაწყვეტილი. სასურველი იქნება და პირადად ხელს შევუწყობ, თუ მოსახლეობის მხრიდან საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტილებების მიღების სტატისტიკური მაჩვენებლები გაიზრდება.

ჩემს მუშაობაში ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხი. საკრებულო, როგორც თვითმართველობის პოლიტიკის განმსაზღვრელი და მაკონტროლებელი ორგანო, პერიოდულად ახორციელებს მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენას, მათს განხილვასა და შეფასებას. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის- ბიუჯეტის პროექტის- განხილვასა და დამტკიცებას. ასევე დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას და მისი შესრულების კონტროლს. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნისა და მოსახლეობის საერთო ინტერესების გათვალისწინებით, მხარი არ დაუჭირა მერიის მიერ ბიუჯეტში ცვლილების შესატანად წარმოდგენილ პროექტს, მოქალაქეებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამის გაუქმებისა და სხვადასხვა სოციალური შეღავათებისათვის დაწესებული მაქსიმალური ზღვარის შემცირების შესახებ. ასევე ჩვენი ძალისხმევით საკითხის შესწავლის ანალიზის საფუძველზე მოხდა უსინათლო პირთათვის ბრაილის შრიფტის სწავლების პროექტის დაფინანსების განხორციელება. ჩვენივე ძალისხმევით გაუგრძელდა დაფინანსება მუნიციპალიტეტში არსებულ ანსამბლებს „კახორსა“ და „ოდილას“. აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან პრობლემებია მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურული ხარჯების ათვისებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან აღნიშნული მიზნით გამოყოფილი 6304212 ლარიდან საკასო ათვისება შეადგენს მხოლოდ 2983000 ლარს, მთის განვითარების ფონდიდან გამოიყო 320310 ლარი, ათვისებულია 61700 ლარი, ხოლო 2018 წელს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებული 2222300 ლარიდან, დღეის მდგომარეობით, ათვისებულია 912000 ლარი. ამ კუთხით შესრულების მაჩვენებლების ზრდა კვლავ არ შეიმჩნევა.

საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საპროექტო წინადადებების ნუსხა. საკრებულომ, რა თქმა უნდა, მხარი დაუჭირა ამ პროექტების განხორციელებას, ვინაიდან ყველა მათგანი მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, მაგრამ მერიამ პროექტებთან დაკავშირებით არ დაიცვა ობიექტურობისა და თანაბრობის პრინციპი, არ გაიზიარა ჩემი და საკრებულოს წევრების წინადადებები იმის თაობაზე, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები თანაბრად განხორციელებულიყო ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.

საკრებულოს თანხმობით, მერიამ განახორციელა ა(ა)ი პ-ების რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც მათ მიერ გაკეთებული გაანგარიშებით, რომელიც წერილობითი სახით მოაწოდეს საკრებულოს, უნდა მომხდარიყო, დაახლოებით, 200 000 ლარის საბიუჯეტო თანხების დაზოგვა, რაც დღემდე არ განხორციელებულა და მერიის უფლებამოსილი პირები რაიმე პროგნოზს ვერ გვთავაზობენ ხსენებული თანხების დაზოგვასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ქონების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, საკრებულოს წევრებმა არაერთხელ მოვუწოდეთ და დავუსვით საკითხი მერიას მუნიციპალიტეტის იმ ქონების აღრიცხვისა და განკარგვის თაობაზე, რომლებითაც მუნიციპალიტეტი არ სარგებლობს ან საერთოდ უფუნქციოდაა დარჩენილი, რათა მოხდეს მათი იჯარით გაცემა ან პრივატიზება, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს მოუტანს დამატებით შემოსავალს. ამ მხრივ პრობლემები კვლავ მოუწესრიგებელია.

მერიის მუშაობის უარყოფით მხარეზე მეტყველებს აგრეთვე დაბა ხარაგაულში მდებარე ე. წ ღია ესტრადის მოვლის საკითხი, რომლის რეაბილიტაცია საკმაოდ სოლიდური თანხები დაჯდა და დღეს მოუვლელობისა და უმეთვალყურეობის გამო დღითი დღე ზიანდება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორ წელზე მეტია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის ტიტული არავისთვის მიუნიჭებიათ, რომლის მინიჭებაც მერის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ასევე მინდა, შევეხო მუნიციპალიტეტში მოქმედ სოციალური დაცვის პროგრამას. ამ სფეროშიც არსებობს გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, მოქალაქეებზე ფაქტობრივად არ იცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარებები.

მიმაჩნია, რომ საკრებულომ კიდევ უფრო მეტი კონტროლი და ზედამხედველობა უნდა განახორციელოს, როგორც აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე, ისე საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე.

ასევე მინდა, შევეხო სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკას მაღალმთიანი რეგიონების სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელიც რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს და მიზნად ისახავს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოების აქტიურობითა და პარლამენტის წევრის, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი კობა ლურსმანაშვილის მხარდაჭერით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ბჟინევს, ზვარეს, გედსამანიასა და ჩრდილს, მათი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიენიჭათ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

უკვე მეორე წელია, საკრებულოსთან ფუნქციონირებს ახალგაზრდული საკრებულო, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული. ახალგაზრდები ეცნობიან როგორც საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ ფორმებს, ასევე პირადი ინიციატივებითა და საკრებულოს წევრთა მხარდაჭერით ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას.

გარდა საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული და ზუსტად ფორმალიზებული უფლებამოსილებების ფარგლებში გაწეული მუშაობისა, ასევე მინდა წარმოგიდგინოთ მცირე ჩამონათვალი იმ პირადი ინიციატივებისა, რომლებსაც, მართალია, კანონმდებლობა არ მავალდებულებს, მაგრამ განვახორციელე როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ისე მათი ყოფითი პრობლემების მოგვარებაში ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ:

სოფელ ვაშლევში ანჟელა ბარბაქაძის რვასულიანი ოჯახისათვის პირადი სახსრებითა და მეგობრების დახმარებით გავაკეთე ხიდ-ბოგირი;

სოფელ საქასრიაში მცხოვრებ ვარვარა ნოზაძეს ჩვენი მეგობრების დახმარებით გავუკეთეთ ეზოში შესასვლელი გზა, რომელიც მთლიანად ჩამოშლილი იყო;

პირადი სახსრებით შევიძინე ხიდ- ბოგირის პროექტი სოფელ მაქათუბანში მდ. ხელმოსმულაზე, რომლითაც ძირითადად სარგებლობს ამირან ბარბაქაძის მრავალშვილიანი ოჯახი;

ბორითის თემში მცხოვრები ეკონომიურად ხელმოკლე ხუთი ოჯახი უზრუნველვყავი ზამთრისთვის საშეშე მერქნით;

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ჩემ მიერ გაგზავნილი წერილის საფუძველზე აღნიშნული დეპარტამენტის მიერ გაკეთებულ იქნა მგზავრთა ორი მოსაცდელი სოფელ უბისაში. ერთი - უბისის მონასტრის ჩასახვევთან, მეორე- „ძინძიბოურის“ უბნის დასახლებისათვის;

ჩემი და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის დახმარებით სოფელ უბისაში „ჭალის“ დასახლების მოსახლეობისათვის აღდგენილ იქნა ორი საცალფეხო ხიდი;

ჩემი თაოსნობითა და მეგობრების დახმარებით დაბეჭდილ იქნა საკრებულოს რეგლამენტი, რომლის დაბეჭდვა თვეების განმავლობაში ვერ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის მერიამ;

ჯანდაცვის სამინისტროში ჩემ მიერ გაგზავნილ იქნა 18 შუამდგომლობა მატერიალურად ხელმოკლე პირებზე შეჩერებული სოციალური დახმარების აღდგენის მოთხოვნით, საიდანაც დაკმაყოფილდა ორი შუამდგომლობა;

ჩემ მიერ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში გაგზავნილია მიმართვები მუნიციპალიტეტში გამავალ საავტომობილო გზებზე სოფლების აღმნიშ-

გაგრძელება ▶ გვ 4

დასაწყისი ▶ 3 გვ.

ვნელი დაზიანებული წარწერებისა და საგზაო ნიშნების აღდგენასთან დაკავშირებით. ხსენებული ორგანიზაციიდან მიღებულია დაპირება მათი აღდგენის თაობაზე;

განათლების სამინისტროში გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე ბორითის საჯარო სკოლაში შშმ პირთათვის პანდუსის გაკეთებასთან დაკავშირებით, ხსენებული უწყებიდან მიღებულია თანხმობა;

რკინიგზის დეპარტამენტში ჩემ მიერ არაერთგზის გაგზავნილ იქნა წერილობითი მოთხოვნა დაბა ხარაგაულში მდებარე რკინიგზის მიწისქვეშა გადასასვლელის შეკეთებასთან დაკავშირებით. საიდანაც მივიღეთ დაპირება აღნიშნული ობიექტის მოწესრიგების თაობაზე;

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ჩემი წერილის საფუძველზე აღადგინეს სოფელ ამაშუკეთის აღმნიშვნელი დაზიანებული აბრა.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში საკრებულოდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე გაგზავნილ იქნა წერილები, რომლითაც მოვითხოვდით აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსახლეობასთან შეხვედრას, წყლის ტარიფებისა და სათავე ნაგებობების მოწესრიგების თაობაზე, სადაც ასევე აქტიურად იყო ჩართული ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი. შეხვედრა შედგა და ველოდებით დამატებით პასუხებს პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით;

ჩემ მიერ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში გაგზავნილი მოთხოვნის საფუძველზე სოფელ მაქათუბანში, ვაშლევში, საქასრიასა და ბორითში, იქ სადაც საჯარო სკოლებია განთავსებული, ხსენებული ორგანიზაციის მიერ გზებზე დამონტაჟებულ იქნა სიჩქარის შემზღუდავი ე. წ. „ბორცვები;“

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩვენი კოლეგებისა და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ გაგზავნილ მიმართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის საშეშე მერქნის მოპოვების მიზნით დამატებით იქნა გამოყოფილი ტყეკაფები;

სოფელ ამაშუკეთში დაზიანებული იყო კოზმა და დამიანეს ხსენების ტაძართან მისასვლელი 4 - კილომეტრიანი საავტომობილო გზა, სადაც ასევე განთავსებულია „მაგთის“ „ჯეოსელისა“ და „ბილაინის“ საკომუნიკაციო ანძები. მივმართე თხოვნით ზემოაღნიშნულ კომპანიებს ხსენებული გზის მოწესრიგების თაობაზე, რომლებმაც გაიზიარეს თხოვნა და შეაკეთეს ტაძრამდე მისასვლელი გზა;

ჩემი თხოვნით, გამოჩენილმა სპორტსმენმა ბატონმა ლერი ხაბელოვმა 25 ტატამი აჩუქა ბორითის მოჭიდავეთა ახალგაზრდულ ნაკრებს;

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემი და ბორითის საჯარო სკოლის პედაგოგის, სულიკო დონაძის, ინიციატივითა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის მხარდაჭერით, სოფელ ბორითში გაკეთდა ფეხბურთის მოედანი, რომელიც სპორტული ცხოვრების ერთგვარ ცენტრად იქცა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის;

ჩვენი კოლეგების მხარდაჭერით, გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტში გაგზავნილ იქნა შეტყობინება სოფელ საღანძილეში შპს „ნიუსფეის“ საწარმოს მიერ ქვიშა-ხრეშით მდინარე ჩხერიმელას დაბინძურებასთან დაკავშირებით. ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად წყლის დაბინძურებით გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 51268 ლარი და 28 თეთრი. ხსენებული საწარმო სასამართლოს მიერ დაჯარიმებულ იქნა აღნიშნული თანხით;

მიმდინარე წლის 18 მაისს ხარაგაულიძირულის საავტომობილო გზაზე შპს „თათამ“ დაბის ტერიტორიამდე მიწიდან ბუნებრივი აირის მილების ამოღების პროცესში დააზიანა საავტომობილო გზის ნაწილი, რის შესახებაც მაშინვე ვაცნობე როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ასევე საპატრულო პოლიციას. აღნიშნულ ფაქტზე მეწარმე სუბიექტი დაჯარიმებულ იქნა 2000ლარით;

და ბოლოს მინდა, მადლობა გადავუხადო საკრებულოს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს წარმატებული საქმიანობისათვის. თქვენი თანადგომით მომავალშიც ძალისხმევას არ დავიშურებ, გავამართლო გამოცხადებული ნდობა და, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, კვლავ გავაგრძელო ზრუნვა ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის 4 ოქტომბრის N 04-03/125950 მომართვის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერისა და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტებს საკუთარ შემოსავლად განესაზღვრათ დამატებითი ღირებულების გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადის 19%), რომლის განაწილება მოხდება ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული 71-ე და 1145 -ე მუხლების შესაბამისად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 7625,8 ათასი ლარით და 2018 წელთან შედარებით შემოსულობები გაიზარდა 736,4 ათასი ლარით, გადასახადებისა და სხვა შემოსავლების ზრდის გამო.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის 2019 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები შეადგენს 5 997,8 ათას ლარს, აქედან ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი განისაზღვრა 1050,0 ათასი ლარით და დამატებითი ღირებულების გადასახადი - 4 947,8 ათასი ლარით.

მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 138,0 ათასი ლარით.

სხვა შემოსავლების 2019 წლის გეგმა 2018 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 205,0 ათასი ლარით და შეადგენს 1450,0 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები 2018 წელს დაგეგმილი იყო 70,0 ათასი ლარი, 2019 წელს კი შემცირდა და დაიგეგმა 40,0 ათასი ლარით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 7625,8 ათასი ლარით.

მათ შორის:

ა) გადასახადები - 5 997.8 ათასი ლარი;

აქედან:

ქონების გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე - 150.0 ათასი ლარი;

ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 900.0 ათასი ლარი;

დამატებითი ღირებულების გადასახადი 4947,8 ათასი ლარი.

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული ტრანსფერები - 138,0 ათასი ლარი, აქედან:

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 138.0 ათასი ლარი;

გ) სხვა შემოსავლები - 1450.0 ათასი ლარი, აქედან:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 70.0 ათასი ლარი;

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) - 45.0 ათასი ლარი;

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 35,0 ათასი ლარი;

ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1300.0 ათასი ლარი;

დ) არაფინანსური აქტივების კლება - 40.0 ათასი ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 7625,8 ათასი ლარით;

მათ შორის:

01 00 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 2 326,0 ათასი ლარი, მათ შორის:

01 01- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 606,1 ათასი ლარი;

01 02- მუნიციპალიტეტის მერია - 1669,9 ათასი ლარი;

01 03 -სარეზერვო ფონდი - 50,0ათასი ლარი.

თავდაცვა - 89,3 ათასი ლარი, მათ შორის:

02 02 -სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 89,3 ათასი ლარი;

03 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია- 1715,5 ათასი ლარი;

მათ შორის:

01- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 380,0 ათასი ლარი, აქედან:

03 01 01 - გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა- 370,0 ათასი ლარი;

03 01 04- მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 10.0 ათასი ლარი.

02 -კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 1325,5 ათასი ლარი, აქედან:

03 02 03 -მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 100.0 ათასი ლარი.

03 02 04- წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 80,0 ათასი ლარი.

03 02 06 -კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია 45,5 ათასი ლარი (სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის დასაფარავად);

03 02 07 -ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება 1100,0 ათასი ლარი;

03 06 სოფლის მეურნეობის დაფინანსება - 10,0 ათასი ლარი;

04 00 განათლება - 1 334,0 ათასი ლარი, აქედან:

- 04 01- სკოლამდელი განათლება ა(ა)იპ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება - 1130.0 ათასი ლარი;

- 04 02 -ზოგადი განათლება სსიპ ბორის სკოლა-პანსიონი - 104,0 ათასი ლარი;

- 04 03 -ა(ა)იპ მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი - 100,0 ათასი ლარი.

05 00 -კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1 269,0 ათასი ლარი, აქედან:

05 01 - სპორტის განვითარებაზე - 380,0 ათასი ლარი, მათ შორის:

05 01 01 -სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 10.0 ათასი ლარი;

05 01 07 - ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი - 370.0 ათასი ლარი.

05 02 - კულტურის განვითარებაზე - 757.0 ათასი ლარი, მათ შორის:

05 02 01 - ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა - 110.0 ათასი ლარი;

05 02 07 -ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 647.0 ათასი ლარი.

05 03 -ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა ა(ა)იპ,, მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ - 50,0 ათასი ლარი.

05 04- ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 12. 0 ათასი ლარი.

05 05 -რელიგიის დაფინანსება - 70,0 ათასი ლარი.

06 00 -მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 892,0 ათასი ლარი. მათ შორის:

- 06 01 -ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 125,0 ათასი ლარი.

- 06 02- სოციალური პროგრამები - 767,0 ათასი ლარი.

მათ შორის:

- 06 02 01- უფასო სასადილოს დაფინანსება ა(ა)იპ „სათნოების სახლი“ - 93.0 ათასი ლარი;

- 06 02 02- სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის და დახმარების ხარჯები 590,0 ათასი ლარი;

- 06 02 04- ახალდაბადებული ბავშვის ოჯახის დახმარების ხარჯები - 32.0 ათასი ლარი;

- 06 02 05 - ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯები - 2,0 ათასი ლარი;

- 06 02 06 -სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა - 50.0 ათასი ლარი.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული 7625,8 ათასი ლარის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 347,0 ათასი ლარი, 4,6 %.

დარჩენილი 7238,8 ათასი ლარიდან მიმართულია:

შრომის ანაზღაურებაზე - 1719,4 ათასი ლარი, 23,7 %.

საქონელსა და მომსახურებაზე - 645,8 ათასი ლარი, 8,9 %.

მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 177,6 ათ. ლარი, 2,5 %;

მივლინება 16,0 ათ. ლარი, 0,2%;

ოფისის ხარჯები 136,0 ათ. ლარი, 1,9%;

წარმომადგენლობითი ხარჯები 26,0 ათ. ლარი, 0,4 %;

ტრანსპორტის ხარჯები 122,2 ათასი ლარი, 1,7 %;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი - 168,0 ათასი ლარი, 2.3%;

პროცენტებზე (სასესხო მომსახურება) -45,5 ათასი ლარი, 0,6 ათასი ლარი;

სუბსიდიებზე - 3839,0 ათასი ლარი, 53,0 %;

სოცუზრუნველყოფაზე - 625,0 ათასი ლარი, 8,6 %;

გრანტზე - 0,4 ათასი ლარი, 0,1 %;

სხვა ხარჯებზე - 363,7 ათასი ლარი 5,0%.

საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი,
ვლადიმერ გელაშვილი

საქართველოსკენ, საქართველოსთვის!..

განგების წყალობით, ადამიანებს ხშირად გვეძლევა შესაძლებლობა, გარდასულ დღეთა სიღრმიდან საინტერესო ეპიზოდებთან შეხვედრით კვლავ ახალ დიდ სიხარულს ვეზიაროთ...

რას წარმოვიდგენდი მაშინ, 1957-1962 წლებში, ჩემი სტუდენტობის დროს, რომ ათეული წლების შემდეგ პირისპირ შევხვდებოდი შთამომავალს იმ დიდი მოღვაწისას, რომლის სახელთან დაკავშირებული პატრიოტული საქმეების სრულყოფილად ჩამოთვლაც კი ძნელია... ეს დიდი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძეა, ხოლო შთამომავალი - დღეს უკვე საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტი - დიდი პაპის შვილთაშვილი - სალომე ზურაბიშვილი.



„ნიკო ნიკოლაძე და საფრანგეთ-პრუსიის ომი“

ქალაქ გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია- ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, როცა ჩემმა უსაყვარლესმა ლექტორმა, აწ განსვენებულმა მირიან ეფრემიძემ, რომელიც ახალი ისტორიის კურსს გვიკითხავდა, დამავალა, ინტერესით გავცნობოდი ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის პუბლიცისტურ სფეროს და სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციისათვის დამემუშავებინა თემა „ნიკო ნიკოლაძე და საფრანგეთ -პრუსიის ომი.“

მიღებულ დავალებას დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე. საჭირო ინფორმაციების მოსაპოვებლად ვიმუშავე როგორც ინსტიტუტისა და გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში, ასევე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში. შესრულებულმა ნაშრომმა სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოზე მოწონება დაიმსახურა, რის შემდეგაც აღნიშნული თემით წარვდექი ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე სათანადო წარმატებებით.

თბილისში, „ექსპო ჯორჯიას“ დარბაზში ...

ახალი პოზიტიური დატვირთვა, რომელიც ჩემი სტუდენტობის პერიოდის აღნიშნულმა ეპიზოდმა მიიღო, 2018 წლის 17 ნოემბერია. მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწეს გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, ქალბატონ ინგა ბერაძეს, რომლის ძალისხმევითაც მომეცა საშუალება ხარაგაულის დელეგაციასთან ერთად, ვყოფილიყავი ერთ-ერთი მონაწილე თბილისში, „ექსპო ჯორჯიას“ დარბაზში, პრეზიდენტობის კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი შეხვედრისა, რომელიც ა/ო „ქალები სამართლიანობისათვის“ (ხელმძღვანელი ნათია ქევხიშვილი) ორგანიზებით მოეწყო.

ღონისძიების დასრულების შემდეგ მსურველთაგან ბევრმა ჩვენგანმა მოახერხა ქალბატონ სალომესთან მოკლე გასაუბრება. მე კი მის მოაზროვნე წინაპართან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ამბავს შევეხე, რაზეც ქალბატონმა სალომემ მადლიერება და სიამოვნება გამოხატა. აქვე ვისარგებლე შემთხვევით, რომ ძალიან მინდოდა მისი ავტორობით გამოსული წიგნი „საქართველოსკენ.“ პრეზიდენტობის კანდიდატი დამპირდა, რომ ამ სურვილს აუცილებლად ამისრულებდა...

„სიხარული შობს სიხარულს...“

ეს ფრთიანი ფრაზა რომ სრული ჭეშმარიტებაა, ნამდვილად ვირწმუნე 2018 წლის 28 ნოემბერს. არჩევნებზე ადრიანად აღვასრულე ჩემი მოქალაქეობრივი მისია, ხმა მივეცი ჩემს რჩეულს - საქართველოსა და ქართველი ხალხის მომავალ ბედნიერებას...

შინ დაბრუნებისას, სულ რაღაც ერთ საათში, ტელეფონში გაისმა სასიამოვნო ხმა უცხო ქალბატონისა, რომელიც ეზოს ჭიშკართან შეხვედრას მთხოვდა... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ქალბატონ სალომესაგან დაპირებული, ჩემთვის ესოდენ ძვირფასი საჩუქარი, წიგნი „საქართველოსკენ“ გადმომცეს...

ყველა საქმე გვერდზე გადავდე და, რომ იტყვიან, მართლაც „მოშიებული“ სულმოუთქმელად დავეწაფე წიგნის სტრიქონებს. თხზულებაში საინტერესო ამბების ისეთი ჯაჭვია შეკრული, რომ მისი თითოეული რგოლი ბუნებრივად გიძლიერებს სურვილს, რათა წინ, წინ წახვიდე შთამბეჭდავ ფაქტებთან შესახვედრად. ჩემთვის ცხადი გახდა, თუ რამდენი რამ ყოფილა თვით დიდი ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიაში, საბჭოური ყოფიდან გამომდინარე, ტაბუდადებული.

ძვირფასო მკითხველო!

გწამდეთ, ემოციებით არ გესაუბრებით, მაგრამ იცოდეთ, პირველი აბზაციდანვე დაგეპატრონებათ ეს წიგნი და თავის ტყვეობაში მოგაქცევთ... შესაძლოა, ჯერჯერობით ყველას არ მიუწვდეს ხელი აღნიშნულ წიგნზე, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, ინტერესის გასაძლიერებლად, ამ წიგნიდან მარტოოდენ ძალზე ორიგინალური პროლოგი შემოგთავაზოთ ზუსტი ციტირებით:

„1921 წლის 19 მარტი

ქალაქ ბათუმში, შავი ზღვის ნავსადგურში, საცაა, ღუზას ამოიღებს გემი „ანატოლია.“ გემზე საფრანგეთის დროშა ფრიალებს. გემბანზე ის უკანასკნელი მგზავრები დგანან, რომლებიც საქართველოს ტოვებენ. სულ ახლახან მათი ქვეყანა წითელმა არმიამ დაიპყრო. დაიწყო საქართველოს გასაბჭოება და ქვეყანას ტოტალიტარული დუმილის ფარდა დაეშვა.

მგზავრებს შორის არიან ივანე ზურაბიშვილი და მისი მეუღლე ნინო ნიკოლაძე. თან ახლავთ ვაჟი, რომელსაც 15 წელი ჯერ არ შესრულებია. ოჯახის დანაზოგი მხოლოდ ტრიუმის ბილეთებს ეყო; მათ თან მიაქვთ 79 თურქული ლირა, რამდენიმე საოჯახო სამკაული და გულით უსაზღვრო წუხილი იმ ქვეყნის დამარცხების გამო, რომელიც უკან რჩება.

მათ ვაჟს აქამდეც რამდენჯერმე უმოგზაურია ევროპაში. თუმცა, გული უგრძნობს, რომ ახლანდელი მგზავრობა ადრინდელს არ დაემსგავსება. ეს ბიჭი მამაჩემი ლევანია.

ამავე გემზე ერთი ახალგაზრდა ქალიც არის ქმარ-შვილთან ერთად. ორსულადაა. თვალცრემლიანი უყურებს, როგორ შორდება გემი ბათუმის ნაპირს; გულმოკლული ფიქრობს, რომ მისი შვილი ალბათ, ისლამურ მიწაზე დაიბადება, კონსტანტინოპოლში, სადაც გემმა რამდენიმე დღეში ღუზა უნდა ჩაუშვას. მელქისედეკ კედია და მისი მეუღლე აგრაფინა თავართქილაძე პირველად მიემგზავრებიან სამშობლოდან. ბავშვი, რომელიც დედის მუცელში შავი ზღვის ტალღების რიტმში ირწევა და გაღმა ნაპირზე დაიბადება, დედაჩემი ზეინაბია.

ჩემი ბაბუა-ბებიები რას იფიქრებდნენ, რომ ეს გემი მათ აღარასდროს დააბრუნებდა სამშობლოში, რომ თურქეთი მგზავრობის მხოლოდ დასაწყისი იყო, რომელიც საფრანგეთში დამთავრდებოდა და სათაყვანებელი ქვეყნის ნაცვლად ხელში შერჩებოდათ მხოლოდ ლევილის პატარა სასაფლაო- დევნილი ქართველების საბოლოო ნავსაყუდელი.

მათ მტკიცედ სწამდათ, რომ ეს წასვლა მხოლოდ ტაქტიკური და დროებითი უკან დახევა იყო და, როგორც კი ბოლშევიკური რეჟიმი დაემხობოდა, ყოველი მათგანი მალევე დაბრუნდებოდა შინ, ისევე, როგორც საქართველოს გახიზნული მთავრობა, რომელსაც ისინი მიჰყვებოდნენ.

ამავე გემზე არის ერთი სკივრიც, რომელიც რწევა-რწევით ტოვებს საქართველოს.

ეს ამბავი ამავე დროს ამ სკივრის ამბავიცაა.“



„ვალი გადაუხდელი“

აი, გვიან ღამით დავამთავრე წიგნის მთლიანად წაკითხვა...

რა საინტერესო გზებით გივლიათ, ძვირფასო ქალბატონო სალომე! საფუძვლიანი განათლების მიღების შემდეგ საკუთარი ხელწერა დატოვეთ ყველა იმ სფეროში, რომელთანაც გქონდათ შეხება,მაგრამ დაგრჩათ „ვალი გადაუხდელი,“ ვალი სახელოვანი წინაპრებისა, რომელთა განუხორციელებელი ოცნებები მხოლოდ საქართველოს თავისუფლებასთან ასოცირდებოდა...

და მაპატიეთ, ძვირფასო ქალბატონო, თქვენც და ჩემმა მკითხველმაც, თუ რამდენიმე წინადადებით სადავეები მივუშვა ფანტაზიას, უფრო სწორად, ფანტაზიასთან შერწყმულ რეალობას... და, შთაგონებათა ტყვეობაში მყოფმა, წარმოვიდგინო:

...აი, ბათუმის ნავსადგურში კვლავ ჩაუშვა ღუზა „ანატოლიამ“... გემიდან, როგორც შუქურა, საოცრად მეტყველი, სხივანთებული თვალებით პირველი დიდი ნიკოს შვილთაშვილი, სალომე ზურაბიშვილი, გადმოდის, შემდეგ კი ქართულ მიწას მონატრებული „მგზავრები“, - გახიზნული მთავრობა - ლევილის, ბიანკურის, ტიეს, ბანიოს, სენტ-უენის, პერლაშეზის, შატუს სავანეებიდან... „მგზავრები,“ რომელთა „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე:“ ივანე ზურაბიშვილი, ნინო ნიკოლაძე, მათი ვაჟი ლევან ზურაბიშვილი, უცხოეთში დაბადებული მისი მეუღლე ზეინაბ კედია, მელქისედეკ კედია, აგრაფინა თავართქილაძე ქართულ მიწას ეამბორებიან და თითოეული მათგანი ჩურჩულით ლოცვად იმეორებს:

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო...“

...აი, ვხედავ, როგორ წამოიმართა გელათიდან გაბრიელ ეპისკოპოსი, მიუახლოვდა ივანე ზურაბიშვილს, მხარზე ხელი დაადო და აკოცა ისე, როგორც მაშინ, როცა საადღგომო წირვაზე, ხალხით გაჭედილ ქუთაისის ეკლესიაში, პატარა გიმნაზიელი ივანე გაძვრა-გამოძვრა, რომ ამბიონს მიახლოებოდა... რა ბედნიერება ეწია, როცა ეპისკოპოსმა - „ქრისტე აღდგა!„- მიულოცა, მხარზე ხელი დაადო და აკოცა. სიხარულისაგან დაბნეულ გიმნაზიელს საპასუხო - „ჭეშმარიტად!„- ყელში გაეჩხირა...“

ივანე ზურაბიშვილს ხომ ემიგრაციაში, მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში, არ განშორებია მადლი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომელიც შემდგომ საოცარი პატრიოტული გზნებითა და ღვთიური სითბოთი გარდასახა ჭეშმარიტად ხელიხელსაგოგმანებ წიგნში „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის.“

მქონდა და მაქვს ბედნიერება, რომ მეცხრე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის გონივრულად შედგენილი სახელმძღვანელოთი (ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი; გამომცემლობა „სწავლანი,“ თბილისი, 2017, გვ. 88-99) გავაცნო მოსწავლეებს დიდი მამულიშვილი ივანე ზურაბიშვილი (1872 – 1940), პროფესიით იურისტი, თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე, ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის წევრი, ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს - სენატის - წევრი, ნიჭიერი მწერალი და მთარგმნელი; შევასწავლო მისი წიგნიდან „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“ სახელმძღვანელოში შესული მასალა „გაბრიელ ეპისკოპოსი,“ რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, თავიანთი აზროვნებით გაითავისონ და გააცოცხლონ ივანე ზურაბიშვილის მიერ შთამბეჭდავად წარმოდგენილი გაბრიელ ეპისკოპოსის წმინდა სახე...

და ზემოთ მოხმობილი „ფანტაზიური სურათის,“ ერთი დეტალიც ჩემთვის ამითაა შთაგონებული.

და კვლავ გრძელდება წარმოსახვითი კადრი - აშკარად ვხედავ, როგორი სითბოსიყვარულით გასცქერიან მშობლები: ზეინაბ კედია და ლევან ზურაბიშვილი თავიანთ წინმავალ ქალიშვილს, რომელიც შეჩერდება, პირჯვარს გადაიწერს, ზეცას შეხედავს და თავს ახდის სკივრს, გემბანიდან ეს ესაა რომ გადმოიღეს... სკივრიდან იღებს გრაგნილს და ინტერესით ჩაჰყურებს. გრაგნილზე ის პროგრამაა, რომელიც ბედის უკუღმართობით საქართველოს თავისუფლებისათვის განუხორციელებელი დარჩათ მის დიდ პატრიოტ წინაპრებს...

ახლა კი ჯერი მასზეა, მისმა სუსტმა მხრებმა რაინდული შემართებით უნდა ზიდოს ეს მძიმე ჯვარი, ზიდოს და იმ მწვერვალზე აიტანოს, სადაც გამთლიანებული, თავისუფალი და ბედნიერი საქართველოს დროშა ფრიალებს და გადაიხადოს ,,ვალი გადაუხდელი...“

მწამს, თავდაჯერებით მწამს, რომ სკივრში დავანებულ ოცნებებს აუცილებლად შეასხამს ფრთებს ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ზურაბიშვილის ღირსეული შთამომავალი, ამჯერად უკვე ხალხის დიდი ნდობით არჩეული, საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი.

მაშ ასე, საქართველოსკენ და საქართველოსთვის, ძვირფასო ქალბატონო სალომე!

უფალმა დალოცოს თქვენგან დადებული უწმინდესი ფიცი, თქვენი სამომავლო ყოფის ყოველი დღე!

ინებე, უფალო, ამინ!

მერი გიორგიძე,
ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი

ხევი-უბისის გზის მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრა გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ხევი-უბისის მონაკვეთზე (F2 - II სექცია) ავტობანის მშენებლობის მიზნით, ტენდერში გამარჯვებული ჩინური კომპანიის - Hunan Road and Bridge Construction Group -ის მთავარ მენეჯერს ტაი სინაგიანგს შეხვდა. შეხვედრაზე მშენებლობის დაწყებამდე მოსამზადებელ სამუშაოებზე ისაუბრეს. ჩინური მხარის განცხადებით, ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების დროს აუცილებელია მჭიდრო კონტაქტი ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მოგეხსენებათ, რომ ხევი-უბისის 12,2 -კილომეტრიანი მონაკვეთი მთლიანად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაივლის, რაც ოთხზოლიანი გზის საფარის მოწყობას, 35 ახალი ხიდისა და 18 გვირაბის მშენებლობას გულისხმობს. როგორც აღინიშნა, მოსამზადებელი სამუშაოები 3-4 თვე გაგრძელდება, რის შემდეგაც 2019 წლის გაზაფხულზე ავტობანის მშენებლობა დაიწყება. სახელშეკრულებო ვადებით მშენებლობა სამ წელიწადში დასრულდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით აქტიურად ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან. მიმდინარეობს სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწების შეფასება, რაზეც ადგილობრივების შეკითხვებს განსახლების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, კერძო კომპანიის ექსპერტ-შემფასებელმაც უპასუხა.

მერის ინფორმაციით, მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებას ხელი შევუწყოთ და ეს, არცთუ ისე სასიამოვნო პროცესი, რასაც განსახლება ჰქვია, ორივე მხარისთვის სასარგებლოდ დასრულდეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქცია შეიქმნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია " შეიქმნა. ამის შესახებ გადაწყვეტილება დეპუტატებმა 14 დეკემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მიიღეს. როგორც იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ოთარ ლურსმანაშვილმა, აღნიშნა, ახალი ფრაქცია დეპუტატებმა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" თორნიკე ავალიშვილმა, ქეთევან ზუმბაძემ და ,,ევროპული საქართველოდან" დავით მაღლაფერიძემ შექმნეს. ამავე სხდომაზე საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს ფრაქციის თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევის საკითხი. შეგახსენებთ, რომ ახალ ფრაქციას თორნიკე ავალიშვილი უხელმძღვანელებს, მოადგილე კი ქეთევან ზუმბაძე იქნება. ფრაქციის თავმჯდომარის სახელფასო ანაზღაურება 1650 ლარია, ხოლო მოადგილის - 1100 ლარი.

,,ეტალონის" საშემოდგომო სეზონის შუალედურ კონკურსში საბა ებანოიძემ მესამე ადგილი დაიკავა

018- 2019 სასწავლო წლის „ეტალონის" საშემოდგომო სეზონის შუალედურ კონკურსს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უმასპინძლა. კონკურსში 21 მუნიციპალიტეტის „ეტალონი მოსწავლე" მონაწილეობდა. საინტერესო და დაძაბულ ინტელექტუალურ შეჯიბრში ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მეათე კლასის მოსწავლემ, საბა ებანოიძემ, 85 ქულა მოიპოვა და მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეებს პროექტის ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა დიპლომები გადასცა, ხოლო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კომპიუტერული ტექნიკის ვაუჩერებით დააჯილდოვა.

ღონისძიებას „ეტალონში" ჩართული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, პეგადოგებთან და მშობლებთან ერთად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე დაესწრნენ. მერმა კონკურსის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ხარაგაულის „ეტალონ მოსწავლეს" საბა ებანოიძეს გამარჯვება მიულოცა.

საბა ებანოიძე 2019 წლის 15 ივნისს გამართულ „ეტალონის" გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც თბილისში ჩატარდება.

ლელა გუგულაშვილი

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას ხარაგაულიც შეუერთდა

25 წელია, რაც ცივილიზებული მსოფლიო ყოველწლიურად ერთვება საერთაშორისო კამპანიაში ,,16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ". კამპანიის ფარგლებში, მერის თანაშემწის გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, ინგა ბერაძის, ინიციატივით, რამდენიმე აქტივობა მოეწყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტშიც. გაიმართა გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა (საბჭოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე), სადაც მოწვეული იყვნენ ა(ა) იპ-ების წარმომადგენლები. შეხვედრაზე დეტალურად იმსჯელეს არის თუ არა შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობა დაცული. ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებმა ასევე წარმოადგინეს ინფორმაცია, როგორია ბავშვების ჩართულობა წრეების მიხედვით და რომელ სფეროში უფრო მეტია გოგონებისა და ბიჭების ინტერესი. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქალთა უფლებების დაცვას და მოხდა კონკრეტული მაგალითების განხილვაც. აქვე აღინიშნა, რომ შრომის ბაზარზე ხშირია ქალთა უფლებების დარღვევა და დაიგმო პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმა.

გარდა ამისა, კამპანიის ფარგლებში მოეწყო პერფორმანსი ,,მოლაპარაკე ფეხსაცმელები. "

როგორც ჩვენთან საუბარში ინგა ბერაძე აღნიშნავს, ამ ფორმით შეეცადა, ხმამაღლა მოეთხრო იმ ქალბატონების ისტორია, რომელთა უფლებები დაცული არაა. ,,შევარჩიეთ პროტოტიპები, რომლებთანაც შეხება გვქონია და ხმამაღლა ვერ საუბრობენ თავიანთ მძიმე ცხოვრებაზე. თითოეული ქალის ფეხსაცმელი ჰყვება რეალურ ისტორიას. აღსანიშნავია, რომ აქციას ყველაზე მეტი დამთვალიერებელი მამაკაცი ჰყავდა, საინტერესო იყო მათი რეაქციები. სათქმელის ამ ფორმით გამოხატვის მეთოდი დიდი ხანია, გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენ ვგმობთ ძალადობის ნებისმიერ სახეს. კამპანია დასრულდა, მაგრამ საუბარი, განსჯა და ფიქრი ამ თემაზე კვლავ გრძელდება," - განმარტა ინგა ბერაძემ და აქვე მადლობა გადაუხადა, ა/ო „ქალთა საინფორმაციო ცენტრს" და კულტურულ - ჰუმანიტარულ ფონდ ,,სოხუმს" მხარდაჭერისთვის.

ეკა შავიძე

სუფთა გარემო ჩვენი ჯანსაღი მომავალია...

ოთხი წელია, რაც კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საჯარო და კერძო სკოლებისათვის ატარებს კონკურსს „ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის" მოსაპოვებლად. 2015 წლიდან დღემდე კონკურსში ათასამდე სკოლა და ასზე მეტი პარტნიორი ორგანიზაცია ჩაერთო. მონაწილე სკოლები მთელი წლის განმავლობაში ერთმანეთს კვლევასა და განვითარების პროგრამების შემუშავებაში ეჯიბრებიან. ეს არის გუნდური მუშაობისა და იდეების განხორციელების ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი კონკურსი.

ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის ძირითადი თემა გარემოს დაცვაა. 2019 წლის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი უკვე მიმდინარეობს, რომლის მიზანი გარემოსდაცვითი განათლებისა და სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერა, ახალგაზრდებსა და ადგილობრივ თემში ცნობიერების ამაღლება, მოსახლეობის ჩართვა ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის პროცესში და ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაა.

კონკურსში ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან რვა საჯარო სკოლა მონაწილეობს. ორი წლის წინ სოფელ ბაზალეთის საჯარო სკოლა ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფინალისტი გახდა და „მწვანე სკოლის" წოდება მოიპოვა, ხოლო გასულ წელს საუკეთესო ათეულში მოხვდა. ეკოკლუბის ხელმძღვანელის, თეა ტალახაძის, დაუღალავი შრომის შედეგად, ბაზალეთის სკოლა კვლავ აქტიურად განაგრძობს კონკურსში მონაწილეობას.

აქტივობების ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ნაწილს ეკობანაკები წარმოადგენს, სადაც ახალგაზრდები საინტერესოდ ატარებენ დროს მწვანე გარემოში, ესწრებიან საინფორმაციო და სასწავლო კურსებს, დადიან ექსკურსიებზე. ბაზალეთის საჯარო სკოლამ გასულ წელს პრიზად ბულაჩაურის მწვანე ბანაკში დასვენება დაიმსახურა.

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მხარდამჭერია საქართველოს პარლამენტი და განათლების სამინისტრო. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი პროექტები განიხილონ ქალაქის მერთან, პარლამენტის წევრთან და მინისტრთან.

რადგან პროექტის ერთ-ერთი მიმართულება ეკოტურიზმია და მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების, სხვადასხვა სამსახურების მხარდაჭერა, იმერეთში პროექტის რეგიონალურმა კოორდინატორმა, მაია კეზევაძემ, საინფორმაციო შინაარსის შეხვედრა გამართა ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" წარმომადგენლებთან. ქალბატონმა მაიამ მათ გააცნო პროექტის მნიშვნელობა და შესთავაზა საინტერესო აქტივობების დაგეგმვა პროექტში ჩართული სკოლებისთვის. ეს ერთობლივი აქტივობები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკოკლუბების საქმიანობას. გრიგოლ ჭიპაშვილმა მზადყოფნა გამოთქვა, დახმარება გაუწიოს პროექტში მონაწილე სკოლებს და საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებები მათთან ერთად განახორციელოს.

ლელა გუგულაშვილი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორის : ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12